დამტკიცებულია
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის
დირექტორის 2021 წლის 30 ოქტომბრის N6529 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 11 ივლისის N5152 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 20 სექტემბრის N7034 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 5 ნოემბრის N11050 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 9 ივნისის N7303 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 16 მარტის N2670 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 22 ივნისის N6255 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 14 დეკემბრის N21340 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის N9754 ბრძანებით

შეფასების სისტემის მექანიზმები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს და პირობებს.

თავი I. პროფესიული სტუდენტის შეფასება

მუხლი 1. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. მოდულის კრედიტის მინიჭება ხორციელდება მოდულის ყველა სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია, თუ:

1.1 მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად შეფასდება მოდულით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი;

1.2 აღიარდება წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები;

1.3 სწავლის შედეგები დადასტურდება შეფასების გზით ფორმალურ სასწავლო გარემოში.

2. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

2.1. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით;

2.2. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

2.3 სწავლის შედეგის დადასტურების პროცენტულ მაჩვენებელს განსაზღვრავს მოდულის განმახორციელებელი პირი.

3. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე დაადასტუროს სწავლის შედეგები.

4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგები დაადასტუროს წინაპირობიანი მოდულის დაწყებამდე.

4[1]. თუ პროფესიული სტუდენტი ორჯერ ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგ(ებ)ს, უფლება აქვს სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურება მოითხოვოს მხოლოდ ერთხელ, (დამატებითი შეფასება). დამატებითი შეფასების ფარგლებში სწავლის შედეგის(ების) ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოდული გაიაროს თავიდან, აღნიშნული მოდულის საფასურის გადახდით.

5. დამატებითი შეფასების თარიღი და საფასური განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

6. განმეორებითი შეფასებისას პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება აქვს პრაქტიკული კომპონენტის შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენოს შეუცვლელად, ხოლო თეორიული კომპონენტის შეფასების ინსტრუმენტში შეცვალოს საკითხების რიგითობა ან შეადგინოს ახალი ინსტრუმენტი.

7. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება შეფასების შედეგს, მოქმედებს გასაჩივრების/აპელაციის წესი.

8. მოდულის სწავლების ფორმის, მისაღწევი სწავლის შედეგებისა და შესრულების სპეციფიკიდან და შეფასების მიმართულებიდან გამომდინარე, შეფასების ინსტრუმენტს ადგენს მოდულის განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი.
9. განმსაზღვრელი შეფასების გარდა, შეფასება შესაძლებელია იყოს განმავითარებელიც, რომელიც ემსახურება პროფესიული სტუდენტის მიერ ცოდნის ათვისებისა და უნარების განვითარების პროცესის სწორად წარმართვასა და მიღწევების დონის განსაზღვრას.
10. ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის, ვალიდურობის, სამართლიანობის, ობიექტურობის და გამჭვირვალობის პირობებს.
11. პროფესიული სტუდენტის შეფასება ხდება მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისად დაუშვებელია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან შეთანხმების გარეშე, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.
12. ტესტის გასაღების კონფიდენციალურობა მკაცრად დაცულია და ინახება პროფესიული განათლების მასწავლებლის პორტფოლიოში.
13. შეფასების ინსტრუმენტი ვალიდაციის მიზნით, შეფასების განხორციელებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე უნდა წარედგინოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს.
14. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ჩართოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები, პროგრამის ხელმძღვანელები და სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი. განხილვის შედეგად, შეფასების ინსტრუმენტი დასტურდება "შეთანხმებულია" სტატუსით, ან შენიშვნებით და წინადადებებით უბრუნდება მოდულის განმახორციელებელ პირს გონივრულ ვადაში.
14.1 შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესი მოიცავს:
ა) შეფასების ინსტრუმენტების გაცნობას, როგორც შინაარსობრივი, ასევე ტექნიკური კუთხით;
ბ) შეფასების ინსტრუმენტებზე უკუკავშირის გაცემას.
15. შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით არსებულ დადასტურებას.
16. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს.
17. შესრულების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.
18. შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტირების შემდეგ. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებების შექმნა (ტესტის, შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის ან სხვა საშუალებებით) და შეფასების შემდეგ გადასცეს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში განსათავსებლად.
19. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.
20. შედეგის/შედეგების დადასტურება ფორმდება შეფასების უწყისში, რომელიც დაწესებულებაში ინახება უვადოდ.
21. ამოღებულ იქნეს.
22. პროფესიული სტუდენტებისათვის მოდულისა და სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესის გაცნობა წარმოადგენს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის პასუხისმგებლობას.
23. ინფორმაცია სწავლის შედეგების შეფასების შესახებ ხელმისაწვდომია მხოლოდ პროფესიული სტუდენტისათვის და არა ნებისმიერი მესამე პირისათვის. შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად ეცნობოდეს საკუთარ შეფასებას.
24. დაუშვებელია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ, პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგის/შედეგების შეფასებასთან დაკავშირებული შენიშვნების

განხილვა სხვა პროფესიული სტუდენტების თანდასწრებით. განხილვა დასაშვებია, მხოლოდ პროფესიული სტუდენტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე.

მუხლი 2. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია, შეფასების სქემიდან ამოირჩიოს, შეფასების ინსტრუმენტის რომელ ტიპს გამოიყენებს მოდულში მითითებული შეფასების მიმართულების/მიმართულებების გათვალისწინებით.

2. შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი;

ბ) პროგრამის სახელწოდება;

გ) მოდულის განმახორციელებელი;

დ) პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი;

ე) შეფასების ჩატარების თარიღი;

ვ) სწავლის შედეგი/შედეგები;

ზ) შესრულების კრიტერიუმები;

თ) შეფასების მიმართულება;

ი) პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი დავალება;

კ) შეფასების პროცესის აღწერა (გარემო და პირობები, ტექნიკური აღჭურვილობა/მასალები/ინვენტარი და შეფასების ხანგრძლივობა);

ლ) დავალების შინაარსი/ინსტრუქტაჟი;

მ) დამატებითი მოთხოვნები;

ნ) შეფასების მტკიცებულება (მაგ: პროცესზე დაკვირვების ფურცელი, ტესტი, აუდიო-ვიდეო ჩანაწერი და სხვ.);

ო) შეფასების სქემა (ხარვეზის დასაშვებობის ნორმა);

პ) განმეორებითი შეფასების პროცედურები;

ჟ) ცხრილში მოცემული სწავლის შედეგები, რომლის გასწვრივ უნდა ეწეროს დადასტურდა/არ დადასტურდა/შენიშვნა;

რ) შემფასებელი პირის ხელმოწერა;

ს) პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა;

ტ) საჭიროების შემთხვევაში დამკვირვებლის ხელმოწერა;

უ) ამორებულ იქნეს.

ფ) ინსტრუმენტის ვალიდურობაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა (შეთანხმებული და ხელმოწერილი დოკუმენტი ინახება მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებლის პორტფოლიოში, პროფესიული სტუდენტისათვის განკუთვნილი ინსტრუმენტი არ საჭიროებს ვალიდურობაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერას).

3. თუ ერთ შეფასების ინსტრუმენტში გაერთიანებულია ერთზე მეტი შედეგი, აუცილებელია შედეგები გამოყოფილ იქნეს ერთმანეთისაგან.

3[1]. თუ ერთი შეფასების ინსტრუმენტი შინაარსობრივად ადასტურებს ორ და მეტ სწავლის შედეგს, მაშინ ამ შედეგების დადასტურება/ვერ დადასტურება მოხდება ერთდროულად. პროცესზე დაკვირვებისას: ცხრილში უნდა იყოს მოცემული შემდეგი ინფორმაცია: შეფასების კრიტერიუმი, დიახ, არა. შეფასების კრიტერიუმები დეტალურად და თანმიმდევრულად უნდა აღწერდეს პროცესს, რომელიც პროფესიულმა სტუდენტმა უნდა შეასრულოს და პროფესიული განათლების მასწავლებელმა შეამოწმოს.

მუხლი 2[1]. სასწავლო პროცესის მონიტორინგიკოლეჯში, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად საჭიროა მუდმივი მონიტორინგი, რომლის მიზანია: მოცემული ვითარების შესწავლა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, საჭიროების განსაზღვრა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩარევების განხორციელება.

1. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ახდენს სასწავლო პროცესის მონიტორინგის კოორდინაციას.

2. მონიტორინგის ამოცანებია:

ა) მოდულის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის დახმარების გაწევა და სათანადო მიმართულების უზრუნველყოფა;

ბ) მოდულის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის მუშაობის ხარისხის მონიტორინგი;

გ) სასწავლო პროცესის თავსებადობა სასწავლო და კალენდარულ გეგმებთან, სწავლის მეთოდებისა და სასწავლო რესურსების ადეკვატურობა;

დ) მოდულის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის კონსულტირება: რჩევები შეფასების პროცედურასთან/ინსტრუმენტებთან და მტკიცებულებებთან დაკავშირებით;

ე) მოდულის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის სწავლების პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების იდენტიფიცირება;

ვ) პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების სტატიკური მონაცემების შეგროვება;

ზ) ანგარიშის მომზადება.

3. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური გაწერილი გეგმის მიხედვით ახორციელებს საკონტაქტო საათზე დასწრებას და მოდულის განხორციელების შემოწმებას, რომლის დროსაც ივსება საკონტაქტო საათზე დასწრების ოქმი.

4. დასწრებისას ყურადღება ექცევა შემდეგ საკითხებს:

ა) განსახილველი თემის შესაბამისობა კალენდარული გეგმის/მოდულის თემატიკასთან;

ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების შესაბამისობა კალენდარულ გეგმით/მოდულით განსაზღვრულ მეთოდებთან;

გ) გამოყენებული სასწავლო რესურსების შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ რესურსთან;

დ) მეცადინეობის მიმდინარეობის პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას;

ე) მეცადინეობის პროცესში, პროფესიული განათლების მასწავლებლის განხორციელებული უკუკავშირის არსებობას;

ვ) დროის მენეჯმენტს;

ზ) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას მოდულით განსაზღვრული მასალა-ნედლეულის და აღჭურვილობის გამოყენება.

6. აღნიშნული მონიტორინგის შედეგების ანალიზზე და ანგარიშზე დაყრდნობით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ახდენს მონაცემთა დამუშავებას, აჯამებს მიღებულ შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში ადგენს ხარვეზების აღმოფხვრის რეკომენდაციებს მოდულის განმახორციელებელთან. ხარვეზის აღმოფხვრის საჭიროებისათვის დამატებითი რესურსის აუცილებლობის შემთხვევაში, ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის ხელმძღვანელს.

7. მონიტორინგის განხორციელების მოსალოდნელი შედეგები:

ა) პროგრამის წარმატებით დანერგვა/განხორციელება;

ბ) განხორციელების დროს მიმდინარე გამოწვევების სწორი და დროული იდენტიფიცირება/პროგნოზირება;
გ) გამოვლენილი პრობლემების ეტაპობრივი აღმოფხვრის უზრუნველყოფა, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის კონსულტირებისა და ტრენინგების ჩატარების გზით.

მუხლი 3. შეფასება პრაქტიკის ბაზაზე

1. პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია კოლეჯი, პროფესიული სტუდენტი და პარტნიორი ორგანიზაცია.
2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პასუხისმგებელია პრაქტიკის კომპონენტის დაგეგმვასა და კოორდინაციაზე.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობას იღებს პრაქტიკის კომპონენტის დაგეგმვა/კოორდინაციაში.
4. პრაქტიკის კომპონენტის დაწყებამდე სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პრაქტიკის ინსტრუქტორი, პროფესიულ სტუდენტებს ინფორმაციას აწვდის მათი უფლება მოვალეობების, განრიგისა და დაწესებულებაში ქცევის წესების შესახებ.
5. პრაქტიკული მოდულების შემთხვევაში პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პრაქტიკის დღიური.
6. პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესში, პროფესიული სტუდენტი მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის არსებობის შემთხვევაში ვალდებულია აწარმოოს პრაქტიკის დღიური.
7. პრაქტიკის ინსტრუქტორის მიერ პროფესიული სტუდენტის შეფასებისას საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პრაქტიკის დღიური, როგორც შეფასების ერთ-ერთი საშუალება.
8. პრაქტიკის დასრულებისას პრაქტიკის ინსტრუქტორი, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის არსებობის შემთხვევაში ვალდებულია შეფასების სხვა მტკიცებულებებთან ერთად პრაქტიკის დღიური წარუდგინოს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

მუხლი 4. შეფასების პროცესის/გამოცდის ჩატარება და შედეგების გასაჩივრება/აპელაცია

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს მიღებული შედეგი შეფასების გაცნობიდან 1 სამუშაო დღის ვადაში. მიმართოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წერილობით და მოითხოვოს შეფასების გადასინჯვა.
2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური საჩივრის მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ნაშრომის განხილვას პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან.
3. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ, შეფასების ცვლილების შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახური (უფლებამოსილი პირი) აპელაციის დასკვნას მოათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში.
4. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა.

4^1 პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტის შეფასება შეცვალოს (პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ) ან დატოვოს ძალაში, თუ პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილი საჩივარი უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია.

5. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი კოლეჯის დირექტორის სახელზე წარადგენს სამსახურებრივ ბარათს შეფასების კორექტირების თაობაზე რაც შენიშვნის სახით აისახება უწყისში.
6. ზოგადი ხასიათის წერილობითი საჩივარი, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული თუ რას აპროტესტებს პროფესიული სტუდენტი, არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის წარმოება

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისში ასახვის მიზნით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს გადასცემს ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების შესახებ.
2. სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების და განმეორებითი შეფასების პერიოდში, პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის სამსახურს ეტაპობრივად გადასცემს ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის შეფასების შესახებ შეფასების უწყისში ასახვის მიზნით.
3. შეფასების უწყისის გახსნის თარიღი უნდა ემთხვეოდეს შესაბამისი მოდულის მიხედვით გაწერილ კალენდარულ გეგმაში მითითებულ პირველი შეფასების თარიღს. უწყისის დახურვის თარიღად განისაზღვრება იგივე კალენდარულ გეგმაში მითითებული ბოლო შეფასების თარიღიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღე.
4. უწყისის დახურვის შემდგომ, პროფესიული განათლების მასწავლებელი უწყისს ადასტურებს ხელმოწერით და აბარებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.
5. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების უწყისის ფორმა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.
უწყისების აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით.
6. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ სწავლის შედეგების შეფასების უწყისის აღრიცხვის შევსებული ფორმა მატერიალური სახით დაერთვის შესაბამისი პროგრამის/მიღების უწყისებს.

თავი II. შუალედური შეფასება

მუხლი 6. შუალედური შეფასება

1. შუალედური შეფასება წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის და პროფესიული სტუდენტისთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის ერთ-ერთ მექანიზმს.
2. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა პროფესიული სტუდენტისთვის სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ეს გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით.
3. შუალედური შეფასების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების დადასტურების, კრედიტის მინიჭების ან პროფესიული სტუდენტის სტატუსის განსაზღვრის/შეცვლისათვის.
4. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას იმ შემთხვევაში თუ ეს განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით.
5. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და ფასდება პროფესიულ სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების არანაკლებ 40 და არაუმეტეს 60 პროცენტისა.
6. შუალედური შეფასების თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის, დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით არაუგვიანეს შეფასების ჩატარებამდე ერთი თვით ადრე.
7. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება შუალედური შეფასების თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება, ელექტრონული პლატფორმის/ელექტრონული ფოსტის/შეხვედრის უზრუნველყოფის ფორმით დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.

8. შუალედური შეფასების თემატიკა არ უნდა გასცდეს პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების ჩატარებამდე გავლილ სწავლის შედეგებს.
9. შუალედური შეფასება უნდა იძლეოდეს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული კომპეტენციების ჰოლისტური შეფასების შესაძლებლობას.
10. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:
ა) თეორიული შეფასება;
ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;
გ) პროექტის პრეზენტაცია;
დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი;
ე) სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია.
11. შუალედური შეფასების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას შუალედური შეფასების კომისიის ჩართულობით.
11[1]. შუალედური შეფასების ინსტრუმენტის შექმნის მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, დგება სამუშაო ჯგუფი შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებელი პირების შემადგენლობით.
11[2]. სამუშაო ჯგუფის მიერ შექმნილი შეფასების ინსტრუმენტი ვალიდაციას გადის შუალედური შეფასების კომისიასთან, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ჩართულობით.
ა) კომისია უფლებამოსილია შუალედური შეფასების ინსტრუმენტი აღიაროს ვალიდურად, ან ვალიდაციის პროცესში, შენიშვნებით დააბრუნოს სამუშაო ჯგუფთან შემდგომი რეაგირებისათვის.
ბ) სამუშაო ჯგუფი ითვალისწინებს შესაბამის რეკომენდაციებს და აბრუნებს განახლებულ შეფასების ინსტრუმენტს საბოლოო ვალიდაციისათვის.
გ) შუალედური შეფასების კომისია ვალდებულია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია განახორციელოს 5 სამუშაო დღის ვადაში.
დ) შუალედური შეფასების ინსტრუმენტის, შენიშვნებით უკან დაბრუნების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფი ვალდებულია შეფასების ინსტრუმენტში ცვლილება განახორციელოს 2 სამუშაო დღის ვადაში.
ე) ამავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, შუალედური შეფასების კომისია ვალდებულია ვალიდაციის პროცესი დაასრულოს 2 სამუშაო დღის ვადაში.
12. პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე.
13. შუალედური შეფასების კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.
14. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ იღებდა მონაწილეობას პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში.
15. კომისიის წევრი უნდა იყოს დარგის წარმომადგენელი.
16. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
17. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით.
18. კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს.
19. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
20. კომისია ვალდებულია შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაწესებულებას მისცეს უკუკავშირი პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები.
21. რეკომენდაციების შემუშავების პროცესში უნდა ჩაერთოს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

22. კომისიის შეფასება და რეკომენდაციები აისახება შესაბამის ოქმში.
23. პროფესიულ სტუდენტს მიეწოდება არაუგვიანეს ერთი კვირისა. პროფესიულ სტუდენტს, შუალედური შეფასების შედეგების შესახებ უკუკავშირი მიეწოდება არაუგვიანეს ერთი კვირისა. პროფესიულ სტუდენტს, შუალედური შეფასების შედეგების შესახებ უკუკავშირი მიეწოდება არაუგვიანეს ერთი კვირისა. ესაა სწორი წინადადება
24. შუალედური შეფასების შედეგები კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში, შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას.
25. თუ პროფესიულმა სტუდენტმა საპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში ვერ მიიღო მონაწილეობა, იგი ვალდებულია ამ წესით დადგენილი პირობებით, განმეორებით მიიღოს მონაწილეობა შუალედურ შეფასებაში.
26. პროფესიული სტუდენტის მიერ არასაპატიო მიზეზით, შუალედურ შეფასებაში ან განმეორებით შუალედურ მონაწილეობის არმიღების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის რეგულირება ხდება კოლეჯის „სასწავლო პროცესის მართვის წესის“ შესაბამისად.
27. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს:
ა) ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობა, რაც მოკლებულია ძირითად ვადებში შეფასების პროცესში მონაწილეობას;
ბ) ფორსმაჟორული გარემოება.
28. განმეორებითი შეფასების ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

თავი III. საკვალიფიკაციო გამოცდა

მუხლი 7. საკვალიფიკაციო გამოცდის არსი და მიზანი

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლის საფუძველია პროფესიული სტუდენტის მიერ სრულად ათვისებული, პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნულ შემთხვევაში თუ პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარე/ან და შიდა მობილობით, წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაცია.
2. საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება.
3. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.
4. საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წარდგინებით, არაუგვიანეს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე.
5. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი იწვევს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს და ამავე პროგრამის განმახორციელებელ პირებს, რათა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე დაადგინონ საკვალიფიკაციო გამოცდის ფორმატი.
6. საკვალიფიკაციო გამოცდის საბოლოო შეფასების ინსტრუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი.
7. საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას საკვალიფიკაციო კომისიის ჩართულობით.

8. პროგრამის ხელმძღვანელის ორგანიზებით იქმნება საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც გადაეცემა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, ამის შემდეგ საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტი ეგზავნება ვალიდაციისთვის საკვალიფიკაციო კომისიას.

9. საკვალიფიკაციო გამოცდის კომისია, საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტის მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში აკეთებს მის ვალიდაციას დადგენილი ფორმის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ კომისია დაიწუნებს და დააბრუნებს შეფასების ინსტრუმენტს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ვალდებულია შეკრიბოს ხელახლა პროგრამის ხელმძღვანელი და სხვა განმახორციელებელი პირები ინსტრუმენტის ხელახალი გადახედვის მიზნით. ინსტრუმენტის ხელახალი გადახედვა/ შემუშავება უნდა განხორციელდეს 5 სამუშაო დღის ვადაში, რომელიც ხელახლა ეგზავნება საკვალიფიკაციო კომისიას. საკვალიფიკაციო კომისიამ 2 სამუშაო დღის ვადაში უნდა უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია.

10. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება ელექტრონული პლატფორმით/ელექტრონული ფოსტის/შეხვედრის ფორმით დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.

11. საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა არ უნდა გასცდეს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს.

12. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

ა) თეორიული გამოცდა;

ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;

გ) პროექტის პრეზენტაცია;

დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი;

ე) სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია.

13. პროფესიული სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში, პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის განმავლობაში.

14. საკვალიფიკაციო გამოცდის კომისია იქმნება დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

15. საკვალიფიკაციო გამოცდის კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისგან და მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ იღებდა მონაწილეობას პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში.

16. საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის შემადგენლობაში სავალდებულოა შედიოდეს:

ა) დარგის შესაბამისი სფეროს წარმომადგენელი, რომელიც ამავდროულად არ არის კოლეჯის წარმომადგენელი;

ბ) პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი;

გ) კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

17. საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის თავმჯდომარე, შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის დადებითი შედეგების საფუძველზე, შუამდგომლობით მიმართავს კოლეჯის დირექტორს პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე.

18. საკვალიფიკაციო გამოცდის კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, შესაბამისად კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

19. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
20. საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
21. საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის წევრი უფლებამოსილია საკუთარი განსხვავებული პოზიცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წერილობით დაურთოს ოქმს.
22. საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა ელექტრონული პლატფორმით/ელექტრონული ფოსტის/შეხვედრის ფორმით.
23. საკვალიფიკაციო გამოცდაზე არ გამოცხადების ან საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ამ წესით დადგენილი პირობებითა და წესით გავიდეს განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე.
24. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება საკვალიფიკაციო გამოცდაზე ან მიიღებს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას, მას საშუალება ეძლევა ერთი თვის განმავლობაში განმეორებით გავიდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე, რისთვისაც განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს. განცხადებას თან უნდა ერთოდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი.
25. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს:
ა)ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობა, რაც მოკლებულია ძირითად ვადებში შეფასების პროცესში მონაწილეობას;
ბ)ფორსმაჟორული გარემოება.
26. საკვალიფიკაციო გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა ან საკვალიფიკაციო კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების საფუძველს.
27. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს განმეორებით გავიდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე მხოლოდ ერთხელ.
28. განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდის ვადები და საფასური განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.
29. განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და გაიცემა სერტიფიკატი/ცნობა გავლილი მოდულების შესახებ.
30. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს წერილობით გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება.
31. საჩივრის განხილვას უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სააპელაციო კომისია.
32. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია განიხილოს პროფესიული სტუდენტის საჩივარი და მიიღოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება:
ა) საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;
ბ) საკითხის საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიისათვის განსახილველად დაბრუნების შესახებ;

გ) საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე კოლეჯის დირექტორის სახელზე წარადგენს სამსახურებრივ ბარათს შეფასების კორექტირების თაობაზე შესაბამის უწყისში.

33. საჩივრის განხილვის მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, იქმნება სააპელაციო კომისია საჩივრის მიღებიდან არაუგვიანეს 14 დღისა.

34. სააპელაციო კომისია განისაზღვრება მინიმუმ 3 წევრით, რომლის შემადგენლობაში შედის: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი (შეფასების უფლების გარეშე) და წევრები.

35. სააპელაციო კომისიაში შეიძლება შედიოდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დარგის სპეციალისტები, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები, ან/და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

36. სააპელაციო კომისია კომპლექტდება იმ პირებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საკვალიფიკაციო გამოცდის პროცესში.

37. სააპელაციო კომისიის წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ.

38. სააპელაციო კომისია ვალდებულია 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი. კოლეჯი ვალდებულია მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს.

39. სააპელაციო კომისია განიხილავს პროფესიული სტუდენტის საჩივარს, ეცნობა საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის მუშაობის ამსახველ ოქმს და იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ან/და განსახილველად დაბრუნების შესახებ. საკითხის მოკვლევისას შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტთან და/ან საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის წევრებთან გასაუბრება.

40. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

41. სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგი აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

42. საკვალიფიკაციო გამოცდა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სადაც პროფესიული სტანდარტითაა გათვალისწინებული. სხვა შემთხვევაში კოლეჯი თავად იღებს გადაწყვეტილებას საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შესახებ, რაზეც გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი.

მუხლი 8. კვალიფიკაციის მინიჭების ინსტრუქცია

1. პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცესი მოიცავს:

ა) მის მიერ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი კომპეტენციების ათვისებას, რაც დასტურდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების ყველა სწავლის შედეგში დადებითი შეფასების მიღებით ან/და კრედიტების აღიარებით/ცნობით;

ბ) შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიღება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ყველა მოდულის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს შესაბამისი პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე.
3. პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტზე დაფუძნებული იმ პროგრამებისათვის სადაც გათვალისწინებულია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ვალდებულება, საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს შესაბამისი პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე.
4. ამ მუხლის მეოთხე პუნქტის შესრულების ვადად განისაზღვროს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე.

მუხლი 9. გარდამავალი დებულება
1. შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობა გავრცელდეს 2024 წლის მიღების ფარგლებში მხოლოდ იმ პროფესიულ სტუდენტებზე რომლებიც ჩაირიცხნენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომელიც ეფუძნება ისეთ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს სადაც საკვალიფიკაციო გამოცდა განსაზღვრულია კვალიფიკაციის მინიჭების ერთ-ერთ წინაპირობად.